საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 239-ე მუხლის 4^4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4^4. ამ კოდექსის 48-ე მუხლით, 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 51-ე მუხლით, 51^1 მუხლის პირველი ნაწილით, 51^2 და 51^4–52-ე მუხლებით, 53^1 მუხლის პირველი ნაწილით, 53^2, 54-ე, 54^1 და 55^1 მუხლებით, 55^4 მუხლის პირველი ნაწილით, 58-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58^1, 58^3, მე-60, 60^3, 61-ე, 63-ე და 63^1 მუხლებით, 64^1 მუხლის პირველი ნაწილით, 65-ე, 66-ე, 66^1 და 67-ე მუხლებით, 68-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით, 72^1 მუხლის პირველი ნაწილით, 73-ე, 74-ე, 76-ე და 85^1–85^5 მუხლებით, 86-ე მუხლის პირველი–მე-9 და მე-13–21-ე ნაწილებით, 89-ე მუხლის პირველი ნაწილით, 89^3 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებითა და 104-ე და 128^2 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია, არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე – დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია, მაჭახელას დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია ან ადგენენ მათ მიერ უფლებამოსილი პირები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

20 სექტემბერი 2022 წ.

N1819-IXმს-Xმპ